


გადაწყვეტით დემოკრატიულად ან: გოგრის გაყოფის ხელოვნება



დიდი იდეა

ეს სავარჯიშო გვამღევს შესაძლებლობას შევიმუშაოთ საკუთარი მიდგომა გადაწყვეტილების მიღებისთვის და გვთავაზობს გადაწყვეტილებაზე ორიენტირებულ მიდგომებს, საჭიროებებზე ორიენტირებულის ნაცვლად. დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების ოთხი ნაბიჯის კონცეფცია გამოიყენება კონკრეტულ ყოველდღიურ პრობლემებზე, შესაბამისად ნაჩვენებია შესაძლებლობები თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტური სიტუაციები ისე, რომ ყველა მხარისთვის თანაბარი უფლებების პრინციპი მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული კომპრომისის წასვლის ან უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

მონაწილე

30-მდე ადამიანი (სამი მოხალისე)

ხანგრძლივობა

50 წუთი

მომზადება

- შესაძლოა გოგრის გამოყენება
- ფლიპჩარტის ქაღალდი და კალმები ან დაფა
- დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების ნაბიჯები დაიწერება თეთრ ბარათებზე.

იმპლემენტაცია

ნაბიჯი 1 ინსტრუქციები თამაშისთვის:

სამი მოხალისე ზის გოგრის გარშემო წრიულად განლაგებული სკამებზე. მასწავლებელი განმარტავს, რომ მოხალისეებს ესაჭიროებათ გოგრა. დანარჩენმა ადამიანებმა ახლა უნდა შესთავაზონ მათ დახმარების შესაძლო გზა. ყველა წინადადება იწერება ფლიპჩარტის ქაღალდზე და წარმოდგენილი იქნება დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების ოთხი ნაბიჯის კონცეფციის პრეზენტაციის შემდეგ.

ნაბიჯი 2 ნაბიჯები დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში:

1. ხელთ არსებული კონფლიქტის შემოწმება/ საჭიროებების დაზუსტება
2. სიტუაციის შეცვლა, როგორც პრობლემის შემოქმედებითი გადაწყვეტა
3. ყველა მონაწილის თანაბარი შეზღუდვა (კომპრომისი)
4. ხმის მიცემა უმრავლესობის პრინციპით

Re 1. მოხალისეების საჭიროებების მიმოხილვის საფუძველზე განმარტეთ, არის თუ არა რეალურად კონფლიქტი. შეიძლება შემოთავაზებული იყოს გოგრის გაყოფა სამ ნაწილად. მასწავლებელმა უნდა იკითხოს, მისაღებია თუ არა ეს შეთავაზება. ჩნდება კითხვა: რატომ უნდა გაიყოს გოგრა სამ ადამიანზე? დისკუსია ამ კითხვას ნათელს კიდევ უფრო მეტად მოჰყვანს.

გოგრა შეიძლება გამოყენებული იყოს ჰელოუინის დეკორაციის შესაქმნელად, წვნიანი შიგთავსისგან შესაძლოა გაკეთდეს სუპი, ხოლო გოგრის თესლი მოიხარშოს ან შეიწვას. ამ შემთხვევაში, გოგრა შეიძლება დაიყოს ისე, რომ არავის ჰქონდეს კონკრეტული შეზღუდვა.

მასწავლებელი ახლა კითხულობს, რა იქნება მიზანშეწონილი, თუ საჭიროებების შეფასება აჩვენებს, რომ სამივე ადამიანს გოგრის რბილობი სჭირდება. მონაწილეებს შეეძლოთ ევარაუდათ, რომ გოგრა უნდა გაიყოს. მასწავლებელმა უნდა იკითხოს, რა ვარაუდები ემყარება მონაწილეთა შემოთავაზებას. ეს სიტუაციური ვარაუდები უნდა დასახელდეს და დაისვას შესაბამისი შეკითხვები. რამდენიმე მაგალითი:

ვარაუდი 1: არსებობს მხოლოდ ერთი გოგრა. კონტრ-ვარაუდი: ალბათ უფრო მეტი გოგრა შეიძლება იყოს შეძენილი. თუ ეს ასეა, პრობლემა მოგვარდება, თუ არა:

ვარაუდი 2: სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი გოგრის სახსრები არსებობს. კონტრ-ვარაუდი: არსებობს მეტი თანხები და მეტი გოგრის შეძენა შესაძლებელი. პრობლემა მოგვარდა, თუ არა:

ვარაუდი 3: სამივე ადამიანს ახლა გოგრა სჭირდება. კონტრ-ვარაუდი: ალბათ მხოლოდ ერთს ესაჭიროება გოგრა ახლა, ხოლო დანარჩენ ორს მოგვიანებით.

მაგალითები აჩვენებს, რომ ხშირად - (წინასწარი) სწრაფი გადაწყვეტილების გავლენის გამო - გადაწყვეტილება მიიღება უამრავი იმპლიციტური ვარაუდის საფუძველზე, რაც, ერთი შეხედვით, დემოკრატიულად აღიქმება, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებელია, რადგან ფაქტობრივი საჭიროებები საკმარისად არ არის განსაზღვრული. მეტიც, გადაწყვეტილებამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი კონფლიქტები.

3-მდე. და 4; მასწავლებელი ადასტურებს იმპლიციტური ვარაუდებს იმასთან დაკავშირებით, რომ სამ ადამიანს ერთდროულად სჭირდება გოგრა. შემოთავაზებულია გოგრის სამ თანაბარ ნაწილად დაჭრა. ჩნდება კითხვა, თუ რა იქნებოდა დამაკმაყოფილებელი გამოსავალი მოცემულ გარემოებაში. რა გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული იმ შემთხვევაში თუ ობიექტი არ იყოფა, მაგალითად, მანქანა? მანქანის გამოყენების უფლება შეიძლება თანაბრად გადანაწილდეს მხარეებს შორის, ან შეიძლება ხმის მიცემის საფუძველზე დადგინდეს, თუ ვის სჭირდება მანქანა ყველაზე სასწრაფოდ და როდის უნდა მიეცეს მას აღნიშნული უფლება.

გადაწყვეტის გზები: ყველა მონაწილის საჭიროებების თანაბარი შეზღუდვა (კომპრომისი) და უმრავლესობის მიერ გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, მესამე და მეოთხე ნაბიჯებია დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების გზაზე. ეს ნაბიჯები უნდა განხორციელდეს მხოლოდ პირველი ორი ნაბიჯის აწონვის შემდეგ.

სამუშაო ნაბიჯი 3 შეფასება:

სავარჯიშო იწვევს მონაწილეთა გააზრებულობას და საშუალებას სთავაზობს მოახდინოს რეფლექსია იმაზე, თუ რამდენად ვრცელდება მიღებული

შეხედულებები ყოველდღიურ ცხოვრებაში - როგორც ოჯახის წევრების, ასევე კლასის ან კომპანიის შემთხვევაში.